

საპრეზიდი

ბიბლიოთეკა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საორთული გაზეთი

სუთუბათი 27 იანვარი 2000 №13 (1035)

ფასი 50 თეთრი

3 არა ფულითა პრითა

საქართველოს ფეხბურთის
ფედერაციის ქონებას
აუქციონზე გატანას
უპირებენ

6 უელევა ინტერი რობერტო ბაჯოს?




ის მარჩელო ლიბის არ
სჭირდება, მაგრამ
სჭირდება

8 ოთხს კლუს პრთი

ერიკსონი შიშობს, რომ
„ლაციო“ იტალიელების
გუნდად გადაიქცევა

14 ღვერო, ნუ მოვაკვლავინებ!



ტაისონი შიშობს, ვაითუ
ფრენსისი შემომავდესო

ძოქუაუვილა მოსკოვი საპრეზიდი ნახა


საქართველოს ნაკრები კვირის ტურნირის-
თვის მზადებას ზეგ, 29 იანვარს შეუდგება დილ-
მის საწვრთნელ ბაზაზე. ნაკრების ერთ-ერთ თავ-
კაც რევას ძოქუაშვილს დაგეგმილი აქვს, ეროვნუ-
ლი გუნდის კანდიდატები „დინამოს“ გააჯიბროს.
ძოქუაშვილი მოსკოვიდან წუსელ დაბრუნდა,
ესენგეს ჩემპიონების ტურნირს ესწრებოდა და,
მისივე თქმით, საკმაო წარმოდგენაც შეუქმნია ნა-
კრების დინამოელებსა და სკონტოელებზე.
მწვრთნელს, სხვებზე მეტად, თურმე „დინამ-
ოს“ ნემსამე, ჭაბუკი რევას ქემოკლიძე და საჩელ-
სოდ გამზადებული რატი ალექსიძე მოსვლია
თვალში. რიგელთაგან კი ძოქუაშვილს ჩალაძემ
და მენთეშაშვილმა მოაწონეს თავი.
„ამ ბიჭების იმედი მაქვს, დარწმუნებული ვარ,
ისინი გამომართლებენ, არ ველოდი, ასეთ ფორ-
მაში თუ იქნებოდნენ“ — გვითხრა ბატონმა რევა-
ზმა და ისიც დაამატა, რომ რამდენიმე კონკრე-
ტულად კი დინამოელმა გივი დიდავამ, იმედი
გაუცრუა — ის სანაკრებოდ მზად ვერ არისო.
როცა სიტყვა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარ-
ჩევ ეტაბზე საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი
მეტოქის, ლიტვის ჩემპიონ „ჟაღვირისზე“ ჩამო-
ვარდა, ძოქუაშვილმა კონკრეტულად თქვა, ლიტვა
საქართველოს ნაკრებს ვერ გაუთანაბრდება, ჩვე-
ნამდე ბევრი აკლიათო. ეს, რა თქმა უნდა, „ჟაღ-
ვირისით“ შექმნილი წარმოდგენაა, მაგრამ ესეც
ზომ არის — ჩემპიონი ქვეყნის ფეხბურთის სახეა.
მოსკოვში ძოქუაშვილს თბილისის „დინამოს“
მხოლოდ ერთი, ბოლო მატჩი უნახავს — დანა-
რჩენი ორი ტელევიზორით ენახე, დინამოელებს
საქართველოშიც ვაკვირდები, მთავარი „სკონტ-
ოს“ ჩვენებურები და „ჟაღვირისი“ იყო — გვი-
თხრა მგზავრობით დადლილმა მწვრთნელმა.
ერთიც: საქართველოს მომავალ ჩემპიონს გა-
ისად ისევ ესენგეს უძლიერეს გუნდებთან მეტო-
ქეობა მოუწევს. საქმე ისაა, რომ ჩემპიონთა ტუ-
რნირის ორგანიზატორებმა თასის გათამაშების
ძველებური სისტემით ჩატარება გადაწყვიტეს,
სუსტებსა და ძლიერებს აღარ განთესვენ.
კობა ინასარიძე



კვირისზე გამოჩნდება, რა დინამო რევას ძოქუაშვილმა მოსკოვში

ბადრი კათილაძის ფოტო

REUTERS მეტაბურნიდან



მარტინა ჰინგისი

ვისთვის გზა, ვისთვის აპი ღარია

გუშინ ავსტრალიის ღია
პირველითბაზე
მეთხედვინაღებმა
დასრულდა. მედბურნის
მოქუფრული ციხა და
ცენტრალური კორტის უკვე
ღამის მუდმივად მოქმედი
მოძრავი სახურავის ქვეშ
ტურნირის შარშანდელი
ჩემპიონებისთვის ისევ შხაინ
ამინდია მსოფლიოს
პირველმა ჩოგანმა მარტინა
ჰინგისმა და რუსმა კვავენი
კაფელნიკოვმა კიდევ თითო
ნაბიჯი გადადგეს საკუთარი
ტიტულების
შენარჩუნებისკენ.

იხილეთ მეცხრე გვერდი

REUTERS პარიზიდან



პსუ — სტრასბური 4:2. პარიზელი იგორ იანოვიჩი (№21) სრასბურელ პეგუი ლუინდულას გაურბის

დემეტრას და კალაძე ქადაგიას ყოფილ კლუბს დაუზავდნენ



გიორგი დემეტრადე



კახა კალაძე

კვიპროსში მყოფმა კიევის „დინამოს“ ძირითადმა შემადგენლობაში გუშინ პირველი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. ლარნაკაში „დინამო“ თემურ ქეცბაიას ყოფილ კლუბს, „ანთოსის“ შეხვდა. პირველ ტაიმში არც ერთ ქართველს არ უთამაშია. ერთადერთი გოლი კი შაკვიზმა მე-5 წუთზე გაიტანა. კიეველებს ტაიმის უფრო დიდი ანგარიშით მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ იაკინმა თერთმეტმეტრიანი გააფუჭა.

მეორე ნახევარში მოედანზე მისაღწევის ნაცვლად კალაძე გამოჩნდა. დემეტრადემ კი შაკვიზი შეცვალა. 51-ე წუთზე მასპინძელთა შავკანიანმა ომბიკუმ ანგარიში გაქვითა. 3 წუთში ომბიკუმს პენალტის გატანა შეეძლო, მაგრამ ააცილა. 69-ე წუთზე „დინამო“ ბელკევიჩმა დააწინაურა. 79-ე წუთზე შოკოკვიციანი კოლეგა პანაიოტუ-სგან პენალტი გაუშვა და მატჩიც 2:2 დამთავრდა.

სიმონ მენაბდე

გიორგი ქინქლაძე ბატკნეუბი გადაარჩინა ქართველს დერბის რეზერვები ზედვიად მეორედ გააქვს

გიორგი ქინქლაძემ, რომელმაც პრემიერლიგის 23-ე ტურში „ქოვენთისთან“ შეხვედრაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა, გუშინწინ „პრაიდ პარკიდან“ „ბეისბოლ გრაუნდზე“ გადაინაცვლა და „დერბის“ ღუბლები მარცხისგან იხსნა.



გიორგი ქინქლაძე

ქინქლაძემ ძირითადში დაიწყო „უიმბლდონის“ რეზერვების წინააღმდეგ და გუნდში ყველაზე გამოჩენილი იყო. 1000-მდე ფანი „ბატკნებისგან“ გამარჯვებას ითხოვდა, ისინი ხომ პრემიერლიგის რეზერვების ლიგაში ლიდერთა შორის არიან.

თავიდან სტუმრებმა იძალეს და უკვე მე-9 წუთზე ჯოელ მაკანულმა დაამწუხრა ენდი ოაკისი. მაკანულმა 18 იარდიდან დალაშქრა „დერბის“ კარი. ამის შემდეგ ქინქლაძემ აიწვიტა. მას მხარი სტარჯმა და „ნოტინგემიდან“ დაბრუნებულმა ბეკმაც აუბეს. მე-15-30-ე წუთამდე ქინქლაძეს გატანაც შეეძლო, ერთხელ კი დასარტყმელ პოზიციაზე რიგოტი გაიყვანა.

„უიმბლდონის“ რეზერვები საერთოდ დაიბნენ და მეორე ნახევარიც დაცვაში გაატარეს. ქინქლაძემ „ბატკნები“ მარცხისგან 83-ე წუთზე იხსნა, როცა ბრწყინვალე ფინტით ჩამოიშორა უილიამსონი და 20 მეტრიდან ლამაზი გოლი გაუტანა პოლ ჰელდს. საბოლოოდ 1:1.

„ბატკნებმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ოაკისი, ჯექსონი (ევატი 46), ბოერტიენი, ერანო (მური

46), პრიორი, რიგოტი, ბრიჯ-ვილიკინსონი, ბეკი, რობინსონი (სიდ.პე 71), სტარჯი, ქინქლაძე. მატჩის შემდეგ „დერბის“ ვერტონდენმა დეან სტარჯმა აღნიშნა, რომ ქინქლაძე ნელ-ნელა ხდება „ცხვირების“ ლიდერი. „იმედია, იგი მალე პრემიერლიგაშიც გაიტანს“ — თქვა სტარჯმა. შევასხენებო, რომ 1995-96 წლების პრემიერლიგაში, „მანჩესტერ სიტის“ რიგებში გიოს 3 გოლი აქვს გატანილი.

სიმონ მენაბდე

ფეხბურთელები ლიგის ვერ დახმარება

ბასულ ტურში „ანდერლექტთან“ „ლიერსის“ ქართველი მცველი გელა ფეხბურთელები ლიგის ვერ დახმარებას, რის გამოც იგი ბელგიის ჩემპიონატის მომავალი ტურის მატჩს „პარულბეკთან“ გამოტოვებს. აღსანიშნავია, რომ წლებადეულ სეზონში ეს მეორედ მოხდა. ბათუმელ ფეხბურთელს უკვე 6 ყვითელი ბარათი დაუგროვდა. „ლიერსი“ ახლა მეოთხე ადგილზე იმყოფება და ჩემპიონობისთვის ბრძოლას საბოლოოდ გამოეთიშა.

სიმონ მენაბდე

საფრანგეთი

XXIII ტური
მონაქო 1:0 ნანსი
1:0 ლოკო (3)
ბასტია 1:0 სიდან
1:0 ლრანი (68)
ლანსი 4:0 ლე ავრი
1:0 ნუშა (18), 2:0 კორიდონი (28), 3:0 სიკორა (78), 4:0 კორიდონი (88)
ლიონი 1:1 ბორდო
1:0 ბაკი (7), 1:1 ლასლანდი (20)
პსუ 4:2 სტრასბური
1:0, 2:0, 3:0, 4:0 კრისტინი (3, 10, 76, 79), 4:1, 4:2 ერე (84, 90)
რენი 0:0 ნანტი
სანტ ეტიენი 0:0 ოსერი

მეორე დივიზიონი

XXIV ტური
ტულუზი — სოშო 3:0; აიაჩო — გენგა-ში 1:0; ნიგა — ლავალი 2:2; კრეტეი — ნიმი 3:2; კაენი — კანი 1:1; ლე მანი — ვალანსი 4:0; ნიორი — ლორიანი 1:0; ვასკელი — გენიონი 1:0; ლუანი — ლილი 1:2; შატორუ — ამიენი 0:0

შოტლანდია

გადაღებული მატჩები
დანდი 0:0 კილმარნოკი
აბერდინი 1:1 მოხარველი
0:1 სპენსერი (22), 1:1 ზერუალი (90)

ინგლისი

ლიგის თასის ნახევარფინალი
II მატჩი
ტრანმერი 3:0 ბოლტონი
1:0 ჰენრი (6), 2:0 მაპონი (21), 3:0 კელი (70)

იტალია

თასის მეოთხედი
II მატჩები
ფიორენტინა 1:1 ვენეცია (0:0)
ლაციო 2:1 იუვენტუსი (2:3)

ბელგია

ლიგის თასის
მეოთხედი
ლიერსი — ბრიუჟე
გამართლება 9 თებერვალს

ჰოლანდია

გადაღებული მატჩი
ვიტასი 1:0 დენ ზოსი
1:0 ვან შოიდონკი (37)

პორტუგალია

თასის მერვედი
ამადორა 1:2 დრავუში
რიუ ავე 0:0 ნავალი
აპადეირა 0:1 დ. (0:0) მორაირენსა
სალგეირუსი 1:2 დ. (1:1) ფაფა
პანფიკა 1:3 სპორტიზმი
ბოავიზა 2:1 ფალგაირაში

ესპანეთი

გადაღებული მატჩი
რეალი 2:1 ბატისი
1:0 გუტი (48), 2:0 მორიენტესი (78), 2:1 ტონი (83)

ამხანაგური მატჩი

ესპანეთი 3:0 პოლონეთი

REUTERS მადრიდიდან




რეალი — ბეტისი 2:1. მადრიდელი ფერნანდო მორენტესი (№9) და ბეტისელი იულიან ფილიპესკუ ბურთისთვის იბრძვიან

გუნდებს ფანებს და სელექციონერებს არ წყალობენ

კვიპროსში შეკრებაზე მყოფმა ვლადიკავკაზის „ალანია“ ახალწვეული ნიგერიელი ენიხი მოისაკლისა. იგი გუნდიდან ვლადიმერ გუცაევმა გაუშვა. „ენიხი თავისი ტექნიკითა და აზროვნებით მაკმაყოფილებდა, მაგრამ როგორც კი დატვირთვას მოეუმატე, მან ვეღარ გაუძლო. აღმოჩნდა, რომ ფეხბურთელს მძიმე ტრავმა ჰქონია მიღებული, აგენტმა კი ამის დამალვა ურჩია. ერთი სიტყვით, ჩვენი მოტყუება უნდოდათ“ — თქვა გუცაევმა.

ამასობაში კი პოპულარულმა რუსულმა გაზეთმა „სპორტ-ეკსპრესმა“ გამოკითხვა მოაწყო, რისთვის იბრძობებს ვლადიმერ გუცაევს „ალანია“ ახალ სეზონში? გამოკითხული 2770 ფანებიდან 45,8 პროცენტმა მიიჩნია, რომ „ალანია“ ცხრილის შუაგულში დამკვიდრდება. 37,7 თვის, რომ გუნდი უფასო თასზე გავა, 10,4 პროცენტის აზრით, „ალანია“ ეცდება, უმაღლესში ადგილი შეინარჩუნოს. მხოლოდ 6,0 პროცენტი უწინასწარმეტყველებს გუნდს ჩემპიონობას.

სიმონ მინაბაძე



ფოცხვერია ისრაელში: 2 მატჩი, 1 გოლი

ისრაელში, დაბა კეისარიაში დაბანაკებულმა დონეცკის „შახტიორმა“ უკვე ოთხი მატჩის გამართვა მოასწრო, ამთავან ვიქტორ პროკოპენკომ მიხეილ ფოცხვერის ორში ათამაშა. პირველად დონეცკელები სიმფეროპოლის „ტავრიას“ ეპაექრნენ და 5:2 აჯობეს (ერთი გოლი ფოცხვერიამ გაიტანა). მომდევნო ორ შეხვედრაში ისრაელის ოლიმპიურ ნაკრებთან (3:0) და პერტლიის „მაკაბისთან“ (4:1) ფოცხვერია არ გა-

მოჩენილა. გუშინ კი მიშამ მთელი 90 წუთი ითამაშა ისრაელის ჩემპიონატის ლიდერის, ჰაიფას „მაკაბის“ წინააღმდეგ. ჩვენთვის უცნობია, მონაწილეობდა თუ არა ამ მატჩში გოლა გახოკიძე. „მაკაბიმ“ 2:1 მოიგო. აღსანიშნავია, რომ გამარჯვების გოლი ჰაიფაში ახლანახან გადამარჯვებულმა ექსკიევის დინამოელმა ონიშენკომ გაიტანა.

სიმონ მინაბაძე

თებერვალი იბერიის ინანვარი

არ ეშველა სამტრედიის „იბერიის“ გასაჭირს — ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც რახანია, თითქმის ყველა პირველჯგუფელი შეუდგა ვარჯიშს, სამტრედიელები კი შველებურად გუნდის პრეზიდენტის გამოჩენას ელიან. „სარბიელში“ ადრეც ვწერდით, შესაძლოა, ნუგზარ ნიკოლეიშვილი ქვეყნის გარეთ იმყოფებოდა. ეფიქრობთ, ასეცაა — ნიკოლეიშვილი საქართველოში ნამდვილად არ არის, მის შემცურე „იბერიას“ კი უკვე გვარიანი დრო გაუცდა და როგორც იბერიელთა მთავარი მწვერთელი სოსო ფრუიძე ამბობს, იანვრის დამდეგამდე (რალა დარჩა) ასე გასტანს.

იანვარს, მოგეხსენებათ, თებერვალი მოსდევს. თებერვალი კი იმით გახლავთ კარგი, რომ ხუში წყალი დგება და სპორტის სასახლეში მიხილ მესხის სახელობის ტურნირი იმართება მინი-ფეხბურთში. სწორედ აქ აპირებენ სამტრედიელები „სეზონ 2000“-სთვის საფუძვლის ჩაყრას და იმედია, მათი პრეზიდენტიც დაუბრუნდება გუნდს (და სამშობლოს) ამ დროისთვის. მაშ ასე, ვინც კი სამტრედიის „იბერიას“ ბედი-თა დაინტერესებული, კეთილი ინებოს და სპორტის სასახლეში 1-დან 5 თებერვლამდე მიმდინარე ტურნირს დაესწროს, გასაგებს იქ გაივებს.

ლუკა თალაკვაძე

საშუაასაზრონო მიდი-გოდო

I-VIII	გასხვისებულები	ახალწვეულები	მატჩები
ტორპედო <i>დავით ვიციანი</i>	მანანიშვილი (სიონი), კ. ჯანაშია (სამგურალი), ვ. მისურაძე (თბილისი), მზაბერიძე (თავისუფალი აგენტო)	გ. გოგოლაძე, თაბერიძე, ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი (ინტერი), ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი)	
დინამო <i>თიანე კორციალაძე</i>	ამუცია (ალანია, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომია (ლოკომოტივი), ზორაქიშვილი (სარტაკი, ვარნა, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია)	გოგიაშვილი, ქებაძე (ლოკომოტივი), კერცვაძე (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩხრაძე (თბილისი), დათუაძე (სიონი), მელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ლობჯანიძე (უფასო მერ დის კვალიფიკირებული იყო), გადელია (ბათუმი)	ვიტ ჯორჯია 32, ლოკომოტივი 12, საქართველოს 122, ცაგ დინამო (ყორგიბეთი) 52, ვარზობი (ტაჯიკეთი) 35
კოლხეთი <i>ვია ტყეშელაშვილი</i>	ფიონიელიძე (თსუ), ტრაპიძე (მერიფი, მოლდოვა), დავითიძე (ტორპედო, მისკოვი, რუსეთი), ბულუხია (თამაში მიატოვა), მელაძე (?)	მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა)	
ბათუმი <i>ვანი კარსევალი</i>	პაპიძე (თბილისი), კანტიძე (თამაში მიატოვა), გადელია (დინამო), უგაკვი (?)	ხომერიკი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), ბარნოვი (ლოკომოტივი), გ. ნოზაძე (საუ), კაკაბაძე (ცხუმი)	
ვიტ ჯორჯია <i>სერგო კორციალაძე</i>	კ. ალადაშვილი (გორდა), მანიაშვილი (ლოკომოტივი)	ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), მერლანი, ახალაძე (თსუ), თ. კობიაშვილი (დინამო), ვ. კაკაშვილი (თბილისი)	ზოვიტკინი 51, დინამო 23, თსუ ხაჩ, დილა 10, მერანი 0:0
სიონი <i>სპარტაკ არსენაძე</i>	დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი), ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (?)	მანანიშვილი (ტორპედო), ისანი (თბილისი), დაუმელი (არსენალი)	
დილა <i>მერაბ კოჭლაშვილი</i>	გ. ჩიტაია (კოლხეთი)		ვიტ ჯორჯია 0:1
იბერია <i>სოსო ფრუიძე</i>			

IX-XVI	გასხვისებულები	ახალწვეულები	მატჩები
ლოკომოტივი <i>რევაზ ძიძუაშვილი</i>	გოგიაშვილი, ქებაძე (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), ლ. მიქაძე (ანტი, რუსეთი), დ. ჯანელიძე, დოლაბერიძე (?)	ლომია (დინამო), კვარაცხელია, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი), ხუროძე (სკონტო, ლატვია), ძიძუაშვილი (სამგურალი), რ. ახალკაცი (მუმენი, ბულგარეთი), გამცემლიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), დ. გოდერძიშვილი (სიონი), პარამონოვი (თბილისი 2), მანიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვულელი (მეტალურგი, ლაგეცკი, რუსეთი)	დინამო 2:1, მერანი 2:2
გორდა <i>იასონ ალადაშვილი</i>		კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია)	
თსუ <i>თენგიზ კაცია</i>	მერლანი, ახალაძე (ვიტ ჯორჯია), ნინუა (?)	ფუტკარაძე (ინტერი), ვაგახიშვილი (განთიადი), ნანიშვილი (ცხუმი), სულავა (ნორჩი დინამოელი)	ვიტ ჯორჯია 4:6
მერანი <i>სერგო ვაგელაია</i>	ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი)	კომკაძე, ავალიანი, მელიქია, კვანტალიანი, მიკუაძე (ამირანი), ქოიავა (არაგვი), თ. დოლიძე, მოსლომიძე (?)	ლოკომოტივი 22, ცხუმი 6:1, ვიტ ჯორჯია 0:0
თბილისი <i>რამაზ ჰუბლაძე</i>	ქემოკლიძე, ო. გველესანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩხრაძე (დინამო), კვარაცხელია, ზ. ხიზანიშვილი (ლოკომოტივი), ისანი (სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია)	გონჩაროვი (არსენალი), ვ. მისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი)	
სამგურალი <i>იასონ ბზიაძე</i>	ძიძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კობალიანი (XII სუტენი)	კ. ჯანაშია (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა)	
სოფი <i>ფრადონ ვიციანიძე</i>			
არსენალი <i>ვანი ჯანელიძე</i>	ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (თბილისი), დაუმელი (სიონი), მ. მისურაძე (?), მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს)	ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი), ვილი ჯანელიძე (მწვრთნელი)	

ზანიშვილი: ტრანსფერთა დიდი ნაწილი საბოლოო არ არის

რეპუბლიკური ჩემპიონატი

მსაბურთე, ნასაი და ჩაბაძეები მიღებები

25 იანვარი

შარლოტი 99:110 სპარაბენტი
შარლოტი: კოლუმბი (24)
საკრამენტო: ვებერი (30 ქულა, 11 მოხსნა), ანდერსონი (29)

მაიაში 115:89 პოსტონი
მაიაში: ლენარდი (21), მურინი (20)
პოსტონი: უოლკერი (28)

კლივლენდი 117:106 დატრონიტი
(ძირითადი დრო 96:96)
კლივლენდი: სურა (31 ქულა, 9 პასი, 6 ჩაჭრა)
დატრონიტი: სტივენსონი (38)

ატლანტა 96:89 ჩიკაგო
ატლანტა: რაიდერი (28), ვეკსონი (21), მიტომბო (14 ქულა, 23 მოხსნა)
ჩიკაგო: ბრენდი (22 ქულა, 10 მოხსნა)


ინდიანა 93:87 ფინიქსი
ინდიანა: მილერი (21)
ფინიქსი: რობინსონი (24), კიდი (22)

სან ანტონიო 105:82 კლივლენდი
სან ანტონიო: დანკანი (24 ქულა, 13 მოხსნა), რობინსონი (22 ქულა, 13 მოხსნა)
კლივლენდი: ანდერსონი (22), ოდომი (18 ქულა, 10 მოხსნა)

ჰიუსტონი 84:92 მინესოტა
ჰიუსტონი: ფრენსისი (24), მობლი (18)
მინესოტა: გარნეტი (27 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი, 5 დაფარვა), ბრენდონი (26)

დალასი 117:103 გოლდენ სტიტი
დალასი: ფინლი (30 ქულა, 10 პასი), ნოვიცკი (23)
გოლდენ სტიტი: ვემისონი (33 ქულა, 21 მოხსნა)

ვაშინგტონი — ნიუ იორკი
ვაშინგტონი:
ნიუ იორკი:
მძიმე ამოცანის წინაშე დადგა „დეტროიტი“ კლივლენდში, რადგან ლიდერმა გრანტ ჰილმა აგერ მეორე შეხვედრაში დააღალატა. მას მსუბუქი ტრავმა აქვს, თუმცა გაურკვეველია, რა-



ჰიუსტონი — მინესოტა. ფარზე აწეულ ჰიუსტონელ უოლტ უაიშს (№42) მალე სილი (მარცხნივ) უფარებს, ხოლო კეინი გარნეტი (საშუალოში) აცოცხლებს

მდენ ხანს არ ითამაშებს ლიგის საუკეთესო ფრთა და „სპრაიტის“ რჩეული უმისოდ კი „დეტროიტი“ ერთი რიგითი გუნდია. ასე რომ, „კლივლენდი“ იმედია დახვდა სტუმარს, ახლა მაინც მოვიგებთ და საკუთარ გულშემატკივრებსაც ვაჩვენებთ, რომ რამდენ ვეარვიართო. ქიმაინი კი გუნდს განსაკუთრებით არასდროს სწყალობდნენ, მით უმეტეს, ამ ბოლო წლებში, როცა არასტაბილურად თამაშობს. სწორედ დარბაზის ნახევარიც ვერ იკლავს. ეს მაშინ, როცა ბუფერი ქალაქი ჩივის, დარბაზებში ხალხს ვერ ვატყვით. კლივლენდელებს „დეტროიტთან“ შეხვედრაში გრანტ ჰილის ნახვის იმე-

დ რომ გადაწყვიტა, ამ მატჩისადმი გულგრილობა გამოიჩინოს და 10 ათას კაცზე ოდნავ მეტი ადევნებდა თამაშს თვალს, როცა დარბაზი „კანდ არენა“ ოცი ათასს თავისუფლად დაიტევს. „კლივლენდი“ ამ ბოლო ხანებში ძალიან შეიცვალა. ჰავს ახალი მწვრთნელი და ახალი ლიდერი. ძველი თავკაცი მაიკ ფრანკელი იმიტომ გადააყენეს, გუნდს არასტაბილურად თამაშობსო, არადა, იგი ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია. სხვათა შორის, იგი იმ „ატლანტა ჰიქსის“ თავკაცობდა, რომელიც 1988 წელს საბჭოეთის ნაკრებს ეთამაშა თბილისში. ლიდერი შონ კემპი კი უკვე აღარ ჰავს


აღმოსავლეთის კონფერენცია

Table with 3 columns: Team, W, L, PCT. Lists teams like Miami, New York, Philadelphia, Boston, Orlando, New Jersey, Washington.

Table with 3 columns: Team, W, L, PCT. Lists teams like Charlotte, Indiana, Cleveland, Atlanta, Chicago.

Table with 3 columns: Team, W, L, PCT. Lists teams like Utah, San Antonio, Minnesota, Denver, Houston, Dallas, Washington.


კვირის მოთამაშე



სტივ პიპენი - ჰიუსტონი

გასული კვირის ლაურეატის წოდება „ჰიუსტონ როკეტსის“ ახალბედა გამთამაშებელ სტივ ფრენსისს ერგო. იგი ასოციაციამ თავის პირველ და მშვენიერ სეზონს ატარებს, წინა კვირას ხომ ყველას აჯობა და თავისი პირველი პროფესიული ტიტულიც დაიხვეწა. ფრენსისის სხვათაგან გამოჩენილი იმანაც განაპირობა, რომ დაუძლებლად „ჰიუსტონმა“ იმ კვირის ოთხეულ თამაშში იმარჯვა და სტივიც ცხადია, საუკეთესო იყო თავისიანთა შორის. ფრენსისი განსაკუთრებით „დალასთან“ შეხვედრაში გამოიჩინა მან 31 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა მითვისდა და მოლოდინში სეზონის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა, კვირაში კი საშუალოდ 22,3 ქულა, 9,8 პასი და 5,5 მოხსნა გააკეთა. სურათოდ, სეზონში მისი შედეგებმა 18,1 ქულა და 7,1 პასი და ახალბედათა შორის ორივე მაჩვენებლით ლიდერობს, რაც მაიკლ ჯორდანის (1984-85 წლების სეზონი) შემდეგ პირველი შემთხვევაა. ჩვეულებრივ, ახალბედები იშვიათად ხდებიან კვირის მოთამაშეები. შარშან ეს მხოლოდ ვინის კარტერმა მოახერხა, რომელიც ბოლოს სეზონის საუკეთესო ახალბედად აღიარეს.

ყველაზე გებრიდან — ყველაზე ნორმადა



დეილ ელისი

რამდენიმე დღის წინ უკანასკნელი დეილ ელისი „მილუოკი ბაქსიდან“ „შარლოტ ჰორნეტსში“ გადავიდა. ეს ტრანსფერი, იქნებ, არაფრით იყოს გამოჩენილი, რომ არა მასში მონაწილე კალათბურთელი: დეილ ელისი ამჟამად ყველაზე უფროსია ერთგული საკალათბურთო ასოციაციის მოთამაშეთა შორის. ლიგის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშეა „ინდიანა პენისის“ ფორვარდი ჯონათან ბენდერი, რომელიც ვერ მხოლოდ ცხრა მატჩში მიიღო მონაწილეობა. ქვემოთ კი ერთგული საკალათბურთო ასოციაციის ყველაზე ხანდაზმულთა და ყველაზე ახალგაზრდათა სიას გთავაზობთ.



ჯონათან ბენდერი

ყველაზე უფროსები

Table with 4 columns: Player Name, Team, Age, Height. Lists players like Deion Sanders, Mark Price, Tariq Phillips, etc.

ყველაზე უმცროსები

Table with 4 columns: Player Name, Team, Age, Height. Lists players like Jaron Collins, Jalen Rose, etc.

მკ, რა უორია ავსტრალიაში

აღმოსავლეთ ტიმორში ავსტრალიის სამშვიდობო ჯარი დგას. ტიმორელებს ეროვნული დღესასწაულის დღეს საკრიკეტო მატჩში გამოუწვევიათ მშვიდობისმოყვარენი და უთამაშაო კიდეც. ამ ფოტოზე კი ჩანს ტიმორელთა გულშემატკივარი კათოლიკე მონაზონი და ზეიმის დღის შესაბამისად მოღლაბუცე ავსტრალიელი ჯარისკაცი.

REUTERS დილიდან



კორეაში დაიწყო

საქულში 2002 წლის ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატის სარეკლამო კამპანია დაიწყო. კამპანიის განხორციელებაში მონაწილეობს იტალიური ბრენდის „სამუდონის“ მსახიობებმაც. გამოიყენეს თავი კორეა იაპონიასთან ერთად მასპინძლობს მსოფლიოს უდიდეს შეჯიბრს და თავის წარმომადგენლებს და ტურისტებს მიზიდვის ორწლიანი გეგმაც შეუქმნა.

ოთხფეხები

ოკუპაციის

საქართველოში, ლოს მორლისის ტბის პირას, სანერეთელ შეკრებას გადის „მაკალია შასკის“ გუნდი, რომლის პატრონიც, აი, ეს ჯონ გარდნერიცაა. დიას, „მაკალია შასკი“ ძალღობა გუნდია. მომავალ უქმეებზე ევროპაში ძალღობა დიდი რბოლა უნდა გაიმართოს, რომელშიც ორასამდე დარჩეული ძალღობა შეეჯიბრება ერთმანეთს. გარდნერიც ამისთვის ამზადებს თავის ოთხფეხებს.



REUTERS ედინბურგიდან

მარადონამ გატეხა

პაპანისი ქუჩებში მსოფლიო ნაცნობი გამოჩნდა. კუბაზე ნარკოლოგიურ სანატორიუმში მყოფი დიეგო მარადონა ქალაქშიც გაიხიზნა ხოლმე ფიდელ კასტროს მიერ მიმდგრებული შავი მერსედესით. შენ კუბას დიქტატორული ქვეყანა ეძახე და იქაური დიქტატურა ფოტორეპორტიორ-პაპარაცებს ოქროსქორო და დიეგოს დენას არ უშლის. თანაც, ეს ფოტორეპორტიორები არცთუ თავზეხელაღებული და მარტოხელა პაპარაცები კი არ განზავან, არამედ განთქმული სააგენტოების წარმომადგენლები. შუა პაპანაში, სუპერმარკეტიდან გამოსულმა მარადონამ შორიასლო მანქანაში დალანდა ტელე და ფოტოკამერებიანი ადამიანები. შემდეგ თავის მანქანაში ჩაჯდა, მაგრამ მსწრაფლ უკან გადმოხტა, იმ მეორე მანქანისკენ გაქანდა და მუშტი დასცა გვერდით მინას. მინა ჩაიმსხვრა, ნამსხვრეები კი სახეში შეესო ფოტოგრაფ ერიბერტო როდრიგესს. ამის შემდეგ მარადონამ საქმის გარკვევა ასწია და პირად მცველთაგან დაშომინებული ძლივს ჩაჯდა თავის მანქანაში.

REUTERS პაეგენიდან



REUTERS პაეგენიდან



სარბიელი

საორტული გაზეტი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის საგზაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფონსვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
რედაქტორი თამაზ მიზრიალი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი მასტან ბეგიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი სოსო კოტორაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქტორი ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე მამუკა კვანტალიანი, პატა კვანტა-

ლიანი, ზინა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ვანო ოქროპირიძე ინფორმაციის რედაქტორი ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე გაიზ თალაკვაძე ავთანდილ სვანიძე კალათბურთის განყოფილება ვიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბუხანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გვულტაშვილი, სვეტა დევიძე, მაგდა ღორაშვილი, კასა თალაკვაძე ტრისტან კახურაშვილი, ნინო კვდელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
შაზაშვილის გამზირი 42, II
პირაკუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო
ჭაბი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieri@iberiapac.ge
ელექტრონული მისამართი
http://www.opentext.org.ge/sarbieri